ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5064225

ნომერი: AR1766008

თარიღი : 04.08.2020

გაცემის თარიღი : 13.08.2020

გაცნობის თარიღი : 13.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 53ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბაღათურია პ/ნ 62001035451
- სოხუმი გუმისთის N 12 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020

წლის 4 აგვისტოს №AR1766008 განცხადებით მომართა ზურაბ ბაღათურიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №53ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.04.004.016), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული განმხილველი კომისიის სხდომის 2019 წლის 18 ნოემბრის №9 ოქმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 17 ივლისის №5028545 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 17 ივლისიდან 2021 წლის 17 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 29 ივლისის №5043802 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში (კომერციული, საცხოვრებელი, საზაფხულო, საერთო ფართობები) და ჩანაცვლდა 0.00, +5.90, +9.20, +12.40, +15.80, +19.10, +22.40, +25.70, +29.00, +32.30, +35.60, +38.90, +42.20, +45.50, +48.80, +52.10, +55.40, +58.70, +62.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმები.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს გამორჩენილი დამხმარე ფართობი - 208.2 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად 5976.3 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 5768.1 კვ.მ.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882020101013 მომზადების თარიღი: 10/02/2020 წ.) ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №53ა-ში, №01.13.04.004.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ცერერა''(საიდენტიფიკაციო ნომერი: 220355835). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B20030216, მომზადების თარიღი: 23/04/2020 წ.) მიხედვით, შპს ,,ცერერა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 220355835) დირექტორს წარმოადგენს ბესიკი ხაინდრავა. 2020 წლის 15 ივლისის №AR1760726 განცხადებაზე წარმოდგენილია ბესიკი ხაინდრავას მიერ განმცხადებლის - ზურაბ ბაღათურიას სახელზე გაცემული 2020 წლის 10 თებერვლის №17 მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
სამსახურმა გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში დამხმარე ფართობი უნდა იყოს 208.2 კვ.მ., ხოლო ავტოსადგომის ფართობი - 5768.1 კვ.მ., რაც არ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს გამორჩენილი დამხმარე ფართობი - 208.2 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს - 5768.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით შეთანხმებული -9.60, -6.50 და -3.40 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 და 2020 წლის 29 ივლისის №5043802 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge